საქართ. შემარცხენე სოც.-ფედერალისტთა რევოლიუციონ. პარტიის   მთავარ. კომიტეტის ორგანო

# ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა“ თვიურად ღირს 45,000 მ. სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე 150,000 მ.; უკანასკნელზე 100,000 მ. კანტორა ღიაა დილის 8—2 ს. რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 11—12 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი სასახლის ქუჩა № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 12—29.

ფასი 5000 მან.

№ 159

ოთხშაბათი, მარტის 1 1922 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ტრიბუნა

ორგანო შემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა რევოლიუციონ პარტიის მთავარი კომიტეტისა.

1922 წლის 1 იანვრიდან თვეში გაგზავნით ღირს 120,000 მანეთი. ცალკე ნომერი ყველგან 5000 მანეთი.

უფასოდ გაზეთი არავის გაეგზავნება.

ხელის მოწერა მიიღება თვის 1 რიცხვიდან,

რედაქციის და კანტორის მისამართი: ტფილისი, სასახლის ქ. № 6.

ღრმად დამწუხრებულნი ქვრივი ნინუცა მეგრელიძისა. შვილი მეგრელიძე, სილო თალაკვაძე, ერმილე და თეო კალანდაძეები შვილებით: მარო, კეკელა, დომნიკა და სიძე მიხეილ ფარუაშვილი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ თებერვლის 19-ს (ძველი სტილით) სოფელ ხიდისთავში (გურია) დანიშნულია მათთვის ძვირფასის და დაუვიწყარის

## ლადიკო მეგრელიძის

გარდაცვალების წლის თავი.

153

## დიდი ყრილობა

სრულიად საქართველოს საბჭოთა ყრილობა შეუდგა მუშაობას.

საქართველოს ყოველი კუთხის მუშათა და გლეხთა წარმომადგენელნი შეიკრიბა ჩვენს დედა ქალაქში და თავისი საკუთარი ძალებით ცდილობს მუშური სახელმწიფოს შენებას.

ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში დღევანდელი ყრილობა დიდ კვალს დასტოვებს და საძირკველს ჩაუყრის მშრომელთა ბატონობას.

მართალია, დღეს ტფილისის ქუჩებში ბევრი უკმაყოფილო ელემენტი მოიპოვება, რომელიც ჯერ კიდევ ვერ შეიგნებია ძომხდარ ამბებს და პოლიტიკურ საკითხებს ესტეტიური ემოციების გავლენით სწყვეტს, მაგრამ ეს ხელს ვერავის შეუშლის და მშრომელი ხალხი თავისი მიზნებისაკენ ურყევლად გაეშურება.

ჩვენი მშრომელი ხალხის წარმომადგენელნი აუცილებლად საქართველოს მშრომელთა—ეროვნულ ინტერესებს უნდა აქცევდეს ჯეროვან ყურადღებას,

საქართველოს თავისუფლების იდეა, ისე მჭიდროდ, ისე ორგანიულად არის დაკავშირებული ჩვენი ქვეყნის მშრომელთა ინტერესებთან, რომ გარეშე ამ იდეის რეალიზაციისა შეუძლებელია ჩვენი გლეხისა და მუშის ინტერესთა უზრუნველყოფა.

გასული წლის განმავლობაში ბევრი რამ გაკეთდა ეროვნულ პოლიტიკის სფეროში, რომელიც აუცილებლად დეფექტთა რიცხვში შესატანი. დროებით შექმნილი ინსტიტუტის არჩარეული ნაბიჯები ხელს უშლიდა მასის გარკვევას შექმნილ მდგომარეობაში და ქმნიდა ნაციონალურ გრძნობათა არა ბუნებრივად გაღიზიანებას.

ამ მხრივ დამაკმაყოფილებლად არ შეიძლება ჩაითვალოს გასული წლის მოღვაწეობა, რომლის შეფასება და ახალი გეგმების დასახვა ევალება საქ. საბჭოთა ყრილობას.

ჩვენ ვამბობთ, რომ დღევანდელი ყრილობა დიდი ყრილობაა.

რას ნიშნავს ეს?

ეს ნიშნავს საქართველოს მშრომელთა დაგვირგვინებას რევოლიუციის ნიადაგზე და კაპიტალისტურ წყობილ საწინააღმდეგო ბანაკის გაძლიერებას. ეს ნიშნავს, რომ მშრომელი თავისი ხელით ჩაება სახელმწიფოებრივ მშენებლობაში და განთავისუფლდა ლიბერალურ ბურჟუაზიული სულისკვეთებიდან.

მაგრამ ესეც არ კმარა.

დღევანდელი ყრილობა მაშინ დაიმსახურებს დიდი ყრილობის სახელს, როდესაც იგი რევოლიუციის ფრონტზე დგომასთან ერთად, არ დაივიწყებს ძონობისაგან განაწამებს ჩვენს ეროვნულ სხეულს და, გამონახავს ისეთ პოლიტიკურ სამართებელს, რომელიც ჩვენს სახელმწიფოს მოჰკვეთს, როგორც კონტრრევოლიუციონურ ელემენტებს, ისე ქართველი მშრომელის ეროვნული თავისუფლების მტრებს.

ყველამ უნდა იცოდეს, რომ თუ დღეს ერთა ეროვნული პოლიტიკა აგრესიული მიზნით არის გამსჭვალული, რომელიც ... მილიტარიზმისა ... იზმის ტენდენციას ... ერი, რომელიც იმპერიალიზმის ობიექტად არის გამხდარი, ცდილობს თავდაცვითი პოლიტიკის წარმოებას და მისი ეროვნული პოლიტიკა ანტი რეაქციონური და ანტი იმპერიალისტურია. ამდენად ჩაგრული ერთა ეროვნული ენერგია არა თუ რევოლიუციის პროცესის ხელის შემშლელი ძალაა, არამედ, პირიქით, რევოლიუციის ერთ-ერთი ფაქტორია.

ასეთი მხედველობა კარგად გაითვალისწინა მესამე ინტერნაციონალმა, რომელმაც ეროვნული საკითხი ფართოდ დასვა და მიუხედავად მარქსისტული გაგებისა, რომელიც ატომისტურ პრინციპებზე აგებული და ცენტრალისტური ტენდენციის მატარებელი, დეცენტრალისტური პრინციპი ალიარა და ფედერაცია წამოაყენა ერთა ურთიერთობის გარდამავალ ფორმად მაინც.

თეორიაში ეს სოციალ-ფედერალიზმის მის ნაწილობრივი გამარჯვებაა, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ არ გვაინტერესებს მესამე ინტერნაციონალის თეორიულ დებულებათა კრიტიკა, ვიტყვით მხოლოდ, რომ ჩვენში გასულ წელს მესამე ინტერნაციონალის თეორიასა და პრაქტიკას შორის არ იყო უშუალო კავშირი, რის ნიადაგზე მრავალი სოციალისტური ნაწილიც ჩამოშორდა საბჭოთა ხელისუფლებას.

დღევანდელი ყრილობა მოვალეა ამ გარემოებას ანგარიში გაუწიოს და გასულ წელს მიღებული ეროვნული დროშა დაუახლოვოს რევოლიუციის წითელ ალამს.

ჩვენი გაზეთის უკანასკნელ ნომრებში რამდენიმე ციტატი მოვიყვანეთ ლენინის, რომელიც ცხად-ყოფს მის საღ ეროვნულ თვალსაზრისს.

ჩვენ გვინდა, რომ ასეთი თვალსაზრისი კარგად გაითვალისწინოს დღევანდელმა ყრილობამ და მიიღოს არა სადი რუსული ეროვნული პოლიტიკა, არამედ საღი ქართული ეროვნული პოლიტიკა.

ყოველიღე ეს უეჭველი თავდები იქნება, რომ დღევანდელი ყრილობა ქართველი ერის მიუდგომელ ისტორიის ფურცლებზე დაიმსახურებს დიდი ყრილობის სახელწოდებას.

სერ. ამილახვარი.

არ შეიძლება ის ხალხი იყოს თავისუფალი, რომელიც სჩაგრავს სხვა ხალხს. სწორედ გერმანელ მუშების რევოლიუციონურ მოძრაობის თვალთახედვის წერტილიდან გამოდიოდა მარქსი 1848 წ. როცა მოითხოვდა, რომ გერმანიის ძლევამოსილ დემოკრატიას გამოეცხადებია და განეხორციელებია ხალხების თავისუფლება, რომელთაც გერმანელები სჩაგრავდნენ.

ლენინი.

## თურქული პრესა

სტამბოლის გაზეთი „ყდამ სებახ“-ის მთავარი ხელმძღვანელი, ცნობილი ალი ქემალი „ვაშინგტონის ყრილობის გამო“-ო, ამ სათაურით ხსენებულ გაზეთის მეთაურში მოგვითხრობს შემდეგს:

მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, ჩვენ ვილსონის მიერ წამოყენებული ცნობილი დებულებების მოგონებით ვიყავით გატაცებული. და კვლავ სხვადასხვა ფორმებით მომხდარი შემთხვევების ჩვენ თვალწინ ჯგუფად წარმოდგენის გამო, განა არ ვიყავით დაიმედებული, რომ მსოფლიო აწ კი მშვიდობიანობის, ბედნიერების და წარმატების გზას დაადგა? ამერიკის მეთაურობით დიდი სახელმწიფოების მიერ, ერთა უფლებანი, მათი სვე-ბედისა და მომავლის უზრუნველმყოფელი დებულებები უნდა ყოფილიყო შემუშავებული. მთელი კაცობრიობისათვის, ეს მსოფლიო ომი იყო აუწერელი უბედურება, ამიტომ მსოფლიო ზავის დამყარებაც უნდა ყოფილიყო უხვი წყალობა. (ლექსად არის).

„ამ დიდ სურვილით, რომ არ მოესურვათ ზავი,

არ იკვის, რის მოწმეც შეიქნებოდით“-ო

განსაკუთრებით ჩვენ დაჩაგრულნი ვიყავით, ამ არეულ დარეულობის გადრეკილების გამო დაზიანებული, სიკეთეს ველოდით.

მაგრამ როცა თეორიიდან პრაქტიკაზე გადასვლა მოხდა, ჩვენ მწუხარებით და ნაღველით დავინახეთ, რომ ამ დიდ სახელმწიფოებსაც კი, თავისებური მწუხარება, დარდი და ნაღველი ჰქონებიათ, თქმული ანდაზის არ იყოს „ჯერ თავო და თავო“-ო.

ასეთი ბუნებრივი კანონების გამოწვევის გამო, ამერიკის სახელმწიფომ ჯერ პირველში თავის თავზე იფიქრა ევროპა, და განსაკუთრებით აღმოსავლეთის საკითხი შორიც, მესამე ხარისხოვნად დასტოვა და სწორედ ასეთი ლიტერატურული გამოთქმების გამო იყო, რომ ერთიც „შეიარაღების განსაზღვრის“ ლოზუნგი იქმნა გადმოსროლილი...

შეერთებული შტატების თავმჯდომარისა და გარეშე საქმეთა მინისტრის მიერ წამოთქმული სიტყვებიდან გამოირკვა, რომ ვაშინგტონის ყრილობის მიმართულება, საერთო შეიარაღების განსაზღვრისათვის ცოტა თეორიული და ხალისიანი მიზნისაკენ მიპყრობილი, მაგრამ ჭეშმარიტად კი შორეული აღმოსავლეთის შეიარაღებული მდგომარეობის შეცვლის სტილისა და პრაქტიკულ მიზანს წარმოადგენს.

ცხადია, რომ მეცხრამეტე საუკუნე დიდი სახელმწიფოებისთვის შეიქმნა ახალი მიწა-წყლების შეძენის საუკუნეთ, ყველა სახელმწიფოები, მათი საეკონომიო და სავაჭრო, ესე იგი, როგორც სულიერად, ისე ხორციელად წარმატებისათვის თავიანთ მიწა-წყალს და ხალხს საკმარისად ვერ სცნობდნენ და აზიის და აფრიკის მიწა-წყალს ესეოდნენ. ამის გამო განსაკუთრებით შორეულ აღმოსავლეთში, დიდ სახელმწიფოთა შორის მკაცრი მეტოქეობა იქმნა გამოწვეული.

შეერთებული შტატების სახელმწიფოთ, ძველად უსაზღვრო და შეუმუშავებელი მიწები ჰქონდათ ხელში, იგი ადგილები თანდათანობით იქმნა შემუშავებული და თანაც მოსახლეობით დასახლებული, ამ გარემოებამ ამერიკაც აიძულა და მიწა-წყლის ძებნის სვლა ალუძრა. თქმა არ უნდა მიწა-წყლის მახლობლობის გეგმა ჯერ პირველად შორეულ აღმოსავლეთს შეეხო, მაგრამ იმ მხარის „თვალი კარზე მიპყრობილი და ხელში კომბალი დაჭერილი“, დარაჯი წინ წარუდგა, რომელიც არის იაპონია.

არსებით იაპონია, ჩინეთსა და სხვა მსგავს სახელმწიფოებსავით, აზიის ერთ-ერთი სახელმწიფო მახლობელ დრომდე კულტურის წყალობას იყო მოკლებული, მაგრამ: (ლექსად არის)

„მიზნის მისაღწევი დიდალთი არის კაცის უნარი,

როცა უნარი ხელთ არი შრომის ნაყოფიც თან არი“-ო.

მეტად მცირე ხნის განმავლობაში იაპონიამ, წარმატებასა და კულტურის გზაზე ისე დიდი საწყაულები გამოიჩინა, რომ სხვა კულტურიანი სახელმწიფოთა შორის თამამათ და ამაყად მიიქცა, საერთაშორისო სასახლეში მან მეგზურად მოიკალათა და თანაც დიდ სახელმწიფოებს მეტოქეობა დაუწყო, განსაკუთრებით ყველაზე მეტად იგი ამერიკის მეტოქე შეიქმნა.

ამერიკა და იაპონია ერთმანეთს ვერ ურიგდებიან, რადგან ჩინეთი ვაჭრობისა და ექსპლოატაციის მხრით ურთიერთ შორის ვერ დაუნაწილებიათ.

იაპონიას, როგორც მდგომარეობის ისე, სანათესაო მიდგმის მიხედვით შორეულ აღმოსავლეთში, დიდ სახელმწიფოების და განსაკუთრებით, ამერიკის დამამარცხებელი ერთგვარი ადგილი უჭირავს.

ამასთან ერთად იაპონელები საერთოდ, რაკი ყვითელ რასას, მოდგმას ეკუთვნიან, რიცხვითაც მრავალი არიან და თანაც მომქმედნი.

ისინი ამერიკას კალიასავით შეესიენ და ადგილობრივ მცხოვრებლებთ საარსებო ხელოვნება და სამუშაო ხელი გამოაცალეს.

ამ მოვლინებული საშინელი სენის საწინააღმდეგოდ „შეერთებული შტატების მთავრობამ“, ზოგიერთ არა ჩვეულებრივი ზომების მიღებას შეუდგა, რაც იყო საერთაშორისო უფლებათა წინააღდეგი და რის გამოც „მიკადო“-ს მთავრობას გულის წყრომა და საჩივარი იქმნა გამოწვეული.

ამ თვალთახედვის ისრის გამო იყო, რომ ორ სახელმწიფოთა ურთიერთ შორის დამოკიდებულება შეირყა...

აი ეს გარემოება და გამწვავება არის, რომ ამერიკის სახელმწიფოს დიდი გეგმები საგონებელს მისცა.

მსოფლიო ომი ისეთი უბედურება იყო, რომ მან არა თუ დამარცხებულები, არამედ გამარჯვებულებიც, (ანტანტაც) შეარყია, მაგრამ მათ შორის ომისაგან ცოტა დაზიანებული და პირიქით იმ დრამების წარმოების დროს თავის სამხარი მასალების ზედი-ზედ გამძლიერებელი იყო იაპონია, რომელსაც ზედმეტად დიდი საზღვაო სახელმწიფო მოკავშირე ჰყავს ინგლისის სახით.

ეხლა ეს მეტოქეობა, ეს წინააღმდეგობა, შორეულ აღმოსავლეთში ურთიერთ შორის დაპირისპირებულია.

არსებული მდგომარეობა რომ იქმნეს გათვალისწინებული და ეს მომზადებანი საზღვ—მიღებული, შესაძლებელს ქმნის, რომ პატარა ნაპერწკალი დიდ ცეცხლის კოცონად იქცეს.

ზავის დაწყებისას გამოჩნდა, რომ ჯერ მეომარ სახელმწიფოთა შორის ვერც ერთმა და, განსაკუთრებით, ამერიკამაც, მსოფლიო ომში მიღებული ეკონომიური ჭრილობა ვერ განკურნა. ასეთ მდგომარეობაში იგივე უბედურობა რომ კვლავ მოგვევლინოს, მსოფლიო როგორი სახით წარმოსდგინდება?

ამ გარემოების მიხედვით არის, რომ ამერიკელებს, შორეულ აღმოსავლეთში არსებული საერთო მდგომარეობის გამოსწორება სწყურიათ და ამ ნებისყოფის განხორციელებისათვის სახელმწიფოთა მონაწილეობით ვაშინგტონის ყრილობა მოიწვიეს.

ასეთი ინიციატივის ნაყოფის გამოღება, ცხადია, დამოკიდებული იქნება იაპონიის მიერ აღებულ მიმართულებაზე და გამოთქმულ სიტყვებზე.

მართალი რომ, ვსთქვათ ვერც ერთი სახელმწიფო, რაკი მომავლის უზრუნველყოფისაგან არაა დარწმუნებული, ნებასურვილით თავის იარაღის შესხმას არ განსაზღვრავს, თავის ძალას არ დაიკლებს, მაგრამ ამერიკას, რა კი მსოფლიო ომში დიდი საქმიანობა აქვს გამოჩენილი და ზედმეტად დიდი სახელმწიფოები არიან მაზე დავალებული, საერთაშორისო საკითხთა გადაწყვეტაში დიდი ადგილი უჭირავს, რის გამოც შეიძლება ამ ყრილობიდან რაიმე სარგებლობა გამოვიდეს. (ლექსად),

თორემ:

„დაემზადე ომისთვის, თუ გსურს ზავი და მშვიდობა“-ო,

ფიტიდურესობისაგან თავის დასაღწევი მცნება, დღესაც არის ცხოვრებაში მიღებული.

არსებითად, კაცობრიობისათვის ჩვეულებრივი მდგომარეობის მიღება არის ბრძოლა და ბრძოლა, ზავი და მშვიდობიანობა კი—გამონაკლისს წარმოადგენს, რადგან სახელმწიფოთა ინტერესები ურთიერთშორის წინააღმდეგობაში არიან.

## საქართველოს საბჭოთა პირველი ყრილობა

**საბჭოთა საქართველოს საბჭოთა პირველი ყრილობა გაიხსნა სახელმწიფო ოპერის თეატრის შენობაში საღამოს 7 ს. და 37 წუთზე.**

**ამხ. ფ. მახარაძის სიტყვა.**

ყრილობა გახსნა ამხ. ფილიპე მახარაძემ, რომელმაც მიმართა დამსწრეთ შემდეგი სიტყვით:

ამხანაგებო, აღსრულდა ერთი ჩვენი უდიდესი ნატვრა, საქართველოს რევოლიუციონური მთავრობის და საქართველოს მუშების და გლეხების ერთი უდიდესი სურვილი.

ამიტომ საქართველოს რევოლიუციონური მთავრობის სახელით მე ვესალმები საბჭოთა საქართველოს მუშების, გლეხების და წითელ არმიელთა სრულუფლებიან ყრილობას...

თქვენ იცით ამხანაგებო, რომ ამ გზაზე ბევრი დამაბრკოლებელი გარემოება გვხვდებოდა, ბევრი რამ არ გვეწყობოდა ხელს ამ მუშაობაში, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენ შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ამ მუშაობას არ ჩაუვლია უშედეგოთ და გამოიღო ის ნაყოფი რომელსაც ჩვენ ერთი წლის განმავლობაში მოველოდით, ჩვენ კიდევ ბევრი სიძნელე გვიძევს წინ, არავინ არ უნდა იფიქროს, რომ ჩვენ უკვე თავი დავაღწიეთ ყველა დაბრკოლებებს, რომელიც დღეს გზაზე გვაქვს...

მთელი მშრომელი კლასის განთავისუფლება სავსებით შესრულებულ იქნეს. ჩვენ, ამხანაგებო, ის კავშირი, რომელიც წინეთ არსებობდა რუსეთის მუშებსა და გლეხების შორის და იმავ დროს, ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებთან, ის კავშირი, რომელიც ხელოვნურად დარღვეულ იქმნა, ხელახლად აღვადგინეთ. (ტაში).

ჩვენ შეგვიძლიან ვსთქვათ დანამდვილებით, ამხანაგებო, რომ ქართველი მშრომელი ხალხი რომელსაც მჭიდრო კავშირი აქვს, როგორც რუსეთის გლეხებთან და მუშებთან, ისე ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებთან დადგა იმ მკვიდრ ნიადაგზე, რომელზედაც ის არასოდეს ჯერ არ ყოფილა (ტაში). თქვენ იცით ამხანაგებო, თუ რა სიცრუისა და ტყუილების ქსელია გაბმული ჩვენს გარშემო, თქვენ ყოველ ფეხის ნაბიჯზე გეუბნებიან, რომ ქართველ ხალხს უსპობენ თვითგამორკვევას და დამოუკიდებლობას. ამხანაგებო, ყველას დამშვიდებით შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ არასოდეს ქართველი მშრომელი ხალხის ნამდვილი დამოუკიდებლობა არ ყოფილა ისეთ მტკიცე ნიადაგზე, რომელზედაც ის სდგას დღეს (ტაში). რომ ეს დამოუკიდებლობა და ნამდვილი თავისუფლება უზრუნველყოფილია, ამას მოწმობს, ამხანაგებო ეს ყრილობაც, რომელიც დღეს აქ გამართულია, და აგრეთვე ის ყრილობები, რომელიც ხდებოდნენ ჩვენ მაზრებში, ჩვენ სოფლებში და ჩვენ დაბებში. არასოდეს არ უნახავს ქართველ ხალხს, ქართველ გლეხებს და მუშებს ეს თავისუფლება, ეს დამოუკიდებლობა ყოველგვარ თავის საქმეებში, რასაც დღეს ჩვენს საბჭოთა ხელისუფლების დროს ვხედავთ. ჩვენს ხალხს, ამხანაგებო, დიდი ბრძოლა გადახდა, სანამ ჩვენ მოვიპოვებდით იმ უფლებას, რომლითაც ჩვენ დღეს ვსარგებლობთ თქვენ იცით, ამხანაგებო, რომ ამ ნიადაგზე დიდი სისხლის ღვრა მოხდა, როცა ჩვენს ხალხს გამოუჩნდნენ არამკითხე ოპეკუნები, რომ მას თავზე მოახვიეს ძველი, როგორც შინაური, ისე გარეშე მებატონეების სურვილები. ჩვენი მშრომელი ხალხი ამას ვერ შეურიგდა, როცა ამ არამკითხე ოპეკუნებმა და მზრუნველებმა გლეხკაცობას არ შეუსრულეს მისი ძირითადი მოთხოვნილებანი, ეს გლეხკაცობა, თქვენ იცით, იბრძოდა თავისუფლების მოსაპოვებლად. ეს ბრძოლა ამხანაგებო არ შეჩერებულა იქამდე, სანამ საქართველოში არ დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება. დღეს როცა ჩვენ აქ შეკრებილი ვართ, როცა [illegible] მხრივ [illegible] და ამჟღავნებთ, რომ საქართველოს მშრომელმა ხალხმა გადაიხადა თავის კისრიდან მძიმე მონობის უღელი, უწინარეს ყოვლისა, ჩვენ უნდა გავიხსენოთ ის გმირები, ის მებრძოლნი, რომლებმაც თავი შესწირეს სწორედ ამ თავისუფლების მოპოვებას, ჩვენ უნდა მოვიხსენიოთ, ამხანაგებო, ის მუშები და გლეხები, რომელნიც ტანჯულ-წამებულნი იქნენ ამ ბრძოლაში. მე გთხოვთ, ამხანაგებო, ფეხზე ადგომით პატივი სცეთ მათ ხსოვნას.

(დელეგატები ფეხზე სდგებიან, ორკესტრი ასრულებს სამგლოვიარო მარშს).

ამხანაგებო, მე დარწმუნებული ვარ, თქვენ კარგად იცით, რომ ჩვენს თავისუფლებას, მუშათა და გლეხთა ხელისუფლებას, ჩვენში იმდენად აქვს მკვიდრი ნიადაგი, იმდენად უზრუნველყოფილია მისი ეს თავისუფლება და დამოუკიდებელი არსებობა, რამდენადაც შეურყევლად დაამკვიდრა და განაგრძობს თავის მოღვაწეობას საბჭოთა რუსეთის მუშათა და გლეხთა მთავრობა და მისი უზენაესი ორგანო, მისი აღმასრულებელი კომიტეტი. თქვენ იცით ამხანაგებო, რომ საბჭოთა მთელი ფედერაციის მუშათა მოძრაობის რევოლიუციის სულის ჩამდგმელნი არიან დიდი რუსეთის, დიდი საბჭოთა რუსეთის, ხელმძღვანელები და ბელადები. ჩვენმა პირველმა ყრილობამ თავის პირველ სხდომაზე უმხურვალესი სალამი უნდა გაუგზავნოს რუსეთის საბჭოთა მთავრობას, რუსეთის მუშათა და გლეხთა, წითელ არმიელების დეპუტატებს, საბჭოთა აღმასრულებელ კომიტეტს, მის მეთაურებს —ამხ. ლენინს და კალინინს (ტაში, მუსიკა უკრავს ინტერნაციონალს).

ჩვენი მხურვალე სალამი უნდა უძღვნათ, ამხანაგებო, აგრეთვე იმ ძალას, რომელზედაც ემყარება დღეს მთელი საბჭოთა რესპუბლიკების არსებობა. იმ ძალას, რომელმაც ამ სამი-ოთხი წლის განმავლობაში დაუმტკიცა მთელ ქვეყნიერებას, რომ მარტო მუშებსა და გლეხებს შეუძლიათ შექმნან დაუმარცხებელი ძალა და ეს ძალა კი, როგორც იცით, გახლავთ წითელი არმია. (ტაში)

ჩვენი მხურვალე სალამი წითელ რუსეთის წითელ ჯარს და მის ხელმძღვანელებს—ტროცკის და სხვებს (ტაში), ჩვენი მხურვალე სალამი აგრეთვე ჩვენ მოძმე რესპუბლიკების გამომხატველ ორგანოებს—იმათ აღმასრულებელ კომიტეტებს, ე. ი. აზერბეიჯანის და სომხეთის საბჭოთა მთავრობებს, იმათ მუშათა, გლეხთა და წითელ არმიელთა დეპუტატთა საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს. (ტაში)

ეხლა, ამხანაგებო, ნება მიბოძეთ მოგესალმოთ თქვენ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტ. კომიტ. სახელით (ტაში), თქვენ იცით ამხანაგებო, რომ საბჭოთა ხელისუფლება უზრუნველყოფილია იმდენად, რამდენადაც კომუნისტური პარტია ფხიზლად და ერთგულად უდგა დარაჯად მთელ მუშათა მოძრაობას. დღეს ამ პარტიას შეუძლიან სიამოვნებით მოგმართოს თქვენ, რომ მის შრომას არ ჩაუვლია უნაყოფოდ. თქვენ იცით ამხანაგებო, რომ კომუნისტური პარტია, ეს იგივე სამხედრო რაზმია, რომელიც მუდამ მზადაა რომ სიტყვით, იარაღით დაიცვას კლასის ინტერესი. მე სწორედ ამ პარტიის სახელით გისურვებთ თქვენ ნაყოფიერ მუშაობას (ტაში, ხორო ასრულებს ინტერნაციონალს).

> სოციალისტებმა უნდა მოითხოვონ არა მარტო უეჭველი, უსასყიდლოდ და დაუყოვნებლივ განთავისუფლება კოლონიების,—ეს მოთხოვნილება პოლიტიკურ ენაზე ნიშნავს ერის თვითგამორკვევის აღიარებას; სოციალისტებმა გადაჭრით (самым решительным образом) უნდა დაუჭირონ მხარი ასეთ ქვეყნების (კოლონიების) ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ ეროვნულ-განმანთავისუფლებელ მოძრაობის უფრო რევოლიუციურ ელემენტებს, ხელი შეუწყონ მათ აჯანყებას,—ხოლო რევოლიუციონურ ომის შემთხვევისას—დაეხმარონ მათ დამპყრელ იმპერიალისტურ სახელმწიფოების წინააღმდეგ.
>
> ლენინი.

**პრეზიდიუმის არჩევა.**

ამის შემდეგ ერთხმად არჩეულ იქნა ყრილობის პრეზიდიუმი, თანახმად ყრილობის კომფრაქციის წინადადებისა არჩეულ იქმნენ შემდეგი ამხანაგები:

1. მახარაძე ფილიპე (ტაში), 2. ორახელაშვილი მამია (ტაში), 3. ორჯონიკიძე სერგო (ტაში), 4. ოკუჯავა მიშა (ტაში), 5. გეგეჭკორი ალექსანდრე (ტაში), 6. თოდრია სილიბისტრო (ტაში), 7. ოქუაშვილი არაქელ, 8. დუმბაძე ლადო, 9. ნაზარეტიანი ამაიაკ, 10. ტოროშელიძე მალაქია (ტაში), 11. ბუდუ მდივანი (ტაში), 12. კიროვი, 14. საბაშვილი პარმენი, 14. პაპუნაშვილი ბაბალე, 15. ლაკობა, 16. მამულია სამსონ, 17. ცინცაძე ა., 18. ნასარიძე დათიკო, 19, სტურუა ვანო, 20, გაგლოევი გერგო, 21, ვერმიშვილი მოსე, 22, შაბინოვი, 23, ლისოვსკი, 24, დოლონტი თედო, 25, ბოლიაძე დათიკო, 26, ხიმშიაშვილი.

**საპატიო თავმჯდომარეები.**

კომუნისტური ფრაქციის წინადადებით ყრილობამ საპატიო თავმჯდომარეებად აირჩია ამხანაგები: კალინინი, ლენინი, ტროცკი, სტალინი და ცხაკაია.

**მისალმებანი.**

შემდეგ იწყება მისასალმებელი სიტყვები.

**საბჭოთა რუსეთის მთავრობის სახელით ყრილობას ესალმება ამხ. ლეგრანი.**

ამხანაგებო, საქართველოს მუშათა და გლეხთა პირველი ყრილობის დეპუტატებს, მოგესალმებით საბჭოთა რუსეთის მთავრობის სახელით. ამხანაგებო, საქართველო უფრო დიდხანს, ვიდრე სხვა ხალხები და რესპუბლიკები კავკასიისა, იმყოფებოდა მსოფლიო რევოლიუციის გამცემ მენშევიკების ტყვეობაში, საქართველო კავკასიის რესპუბლიკებიდან უკანასკნელად შეუერთდა საბჭოთა დიდ რესპუბლიკებს და შეიძლება ამით გაუძნელდა გადალახვა დაბრკოლებები და დიდი ბრძოლა მოუხდა მას მუშათა და გლეხთა დამოუკიდებლობის განსამტკიცებლად. შეიძლება ამით აიხსნას, ის რომ საქართველოს მუშათა და გლეხთა გამარჯვება დიდ მნიშვნელოვანია საბჭოთა რუსეთისათვის. ამხანაგებო; თქვენ ხელისუფლება სარგებლობს დიდის ყურადღებით, ის ფაქტი, რომ თქვენ აღმართეთ საბჭოთა დროშა შავი ზღვის ნაპირებზე, ეს ფაქტი კოლოსალურია: მთელი წლის განმავლობაში ჩვენ გვქონდა საშუალება თვალყური გვედევნებინა საბჭოთა ხელისუფლების განვითარებისა და გამაგრებისათვის. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ საბჭოთა ყრილობა უფრო განამტკიცებს იმ ხელისუფლების საფუძველს, რომელიც წარსულ წელს საქართველოს მუშებმა და გლეხებმა მოიპოვეს. ვათავებ ჩემს მოკლე მისალმებას და მოგმართავთ შემდეგი სურვილებით: ოთხი წლის რევოლიუციონური ბრძოლის გამოცდილებამ გვ ჩვენა, რომ მშრომელი მასის მედგარი რევოლიუციონერობა მტკიცედ [illegible] საფუძვლის—წითელი არმიის [illegible] ქმნით. ნება მომეცით, ამხანაგებო, გისურვოთ, რომ ამ პირველ საბჭოთა ყრილობის მუშაობამ [illegible] შექმნა მძლავრი წითელი არმიისა საქართველო[illegible] ქართველთ[illegible], განუმტკიცოს მძლავრ კავშირი საბჭოთა საქართველოისას სხვა საბჭოთა რესპუბლიკებთან.

(ტაში; ორკესტრი უკრავს ინტერნაციონალს)

**რ. კ. პარტიის ცენ. კომ. და ამიერ-კავკასიის სახალხო კომიტეტის სახელით ყრილობას მიესალმა ამხ. ორჯონიკიძე.**

გულითადი მხურვალე სალამი რუსეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტის სახელით მუშების, გლეხების, წითელ ლაშქრის საბჭოთა პირველ ყრილობას (ტაში) ამხანაგებო, ერთი წელიწადი შესრულდა მას შემდეგ, რაც ჩვენმა საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ რუსეთის კომუნისტურ პარტიასთან ერთად (მე ვამბობ რუსეთის კომუნისტურ პარტიასთან ერთად, ვინაიდან საქართველოს კომუნისტური პარტია ღვიძლი შვილია და განუყოფელი ნაწილი რუსეთის კომუნისტური პარტიისა (ტაში) ერთი წლის წინად გადამწყვიტა განედევნა საქართველოდან მენშევიკები და მათ მაგივრად დაემყარებინა აქ მუშათა და გლეხთა ხელისუფლება. ეს გადაწყვეტილება იქმნა მიღებული და ასრულებული. წარსული წლის 25 თებერვალს, აქ, ტფილისში, აფრიალდა წითელი დროშა საბჭოთა ხელისუფლებისა. და აი ერთმა წელიწადმა გაიარა. ჩვენი მტრები მენშევიკები და სხვა ჯურის ნაციონალისტები ბრძანებდნენ: საქართველოს კომუნისტებმა უღალატეს საქართველოს, მათ დაამხეს საქართველოს დამოუკიდებლობა, მათ შემოუსიეს საქართველოს რუსეთის ჯარი, გააუბედურეს საქართველო, დაუკარგეს დემოკრატიული წესწყობილებანი. დღეს, როცა თქვენ ნამდვილი ბატონ-პატრონი საქართველოს მიწა-წყლისა, საქართველოს მუშები და გლეხები შეკრებილხართ აქ, თქვენს წინაშე ვთქვათ: არიან მართალი ისინი, თუ ჩვენ? რაშია საქმე? ამბობენ, რომ რუსეთის ჯარი შემოიყვანეს საქართველოში და ამ ჯარით საქართველოს დამოუკიდებლობა მოსპეს. უკაცრავად, იყვნენ თუ არა აქ წარსულში სხვა ჯარები? იყვნენ აქ ინ-

# ებრაული კლასიკური პოეზია

ებრაული კლასიკური პოეზიის ერთ ერთი შედევრია ქებათა ქება, რომელიც ეკუთვნის სოლომონ ბრძნის კალამსა. ავტორი გვიხატავს მწყემსი ქალწულის სიყვარულსა. როგორც სჩანს სხეულის თაყვანისცემა, ტანის კულტის მოტივი ებრაულ პოეზიაში ისევე ძველია, როგორც ბერძნულში. ქებათა ქების შესანიშნავია განსაკუთრებით ის სულისკვეთება, რომელიც ქალს განუცდია ვაჟის სილამაზის გამო.

ჩვენი პოეტები გვიხატავენ მხოლოდ ვაჟის სიყვარულს ქალისადმი, იმას კი თუ, როგორია უკანასკნელის გრძნობა ვაჟისადმი, არ დასდევენ ეგრე რიგად. ჯერ არ უთქმევიათ ქალისთვის თუ, რა მოსწონს ვაჟისა, რითი, რად არის ვაჟი მისთვის მოსაწონი.

ქებათა ქება დღეს საღვთო წერილად მიუჩნევიათ, როგორც მოსეს, ისევე იესოს მოძღვრების მიმდევარ ღვთის მეტყველებსა. ერთია მხოლოდ მართალი, ის, რომ სიყვარული, რომელიც ამოძრავებს მწყემს ქალწულს, მართლაც საღვთო და ამაღლებს ადამიანსა.

თარგმანი ქებათა ქებისა, რომელიც ამ სათაური იბეჭდება, წარმოადგენს ერთ გვარ ნაცადსა, რომ იმ შორეული მწყემსი ქალწულის სიყვარულის გრძნობა გამომეთქვა გასაგებად. ძველი თარგმანი ქებათა ქებისა ბუნდოვანი, დაუწყობელი და მძიმე ადნაქსებით არის გამართული. ეტყობა, პირვანდელი თარგმანი დაკარგული ყოფილა და მერმე აღუდგენია ენის უცოდინარსა. აი თვით ახალი თარგმანი.

**ქებათა ქება სოლომონისა**

თავი 1

ერთი მაკოცოს იმ ვაჟმა თავისი პირის კოცნით! შენი ძუძუები ღვინოს სჯობია.

შენი ფერბოლის სურნელების გამო შენი სახელი თითქო იყვეს დაფრქვეული სურნელება. მაგის გულისთვის უყვარხარ ქალებსა.

მიმიზიდე, გავიქცეთ ერთად. მეფემ რა შემიყვანოს თავის საწოლში, სიხარული დ შვება გვექმნეს შენგნითა. შენი ძუძუები შევიყვაროთ უფრო, ვიდრე ღვინოს; ღირსეულად შეგვყვარებიხარ,

იერუსალიმელო ქალებო! შავი ვარ, მაგრამ მოხდენილი ვარ, კედარის კარვებივით, სოლომონის ფარდებივით.

ნუ მიცქერით, რომ მოშავო ვარ. მზემ დამხედა. დედი ჩემის ვაჟები გამიჯავრდნენ: ძიძავ დამაყენეს ვენახის მცველად. ჩემი ვენახისთვის კი ყური ვერ მიგდია.

მითხარ, ჩემი სულის საყვარელო, სად აძოვებ და სად ისვენებ შუა დღეზე; რად უნდა ვიყვე, როგორც ერთი ვინმე ქალი, მოხეტიალე შენი ამხანაგების ფარის გარშემო.

თუ არ იცი, უმშვენიერესო ქალო, გაჰყევ ცხოვრების ნაკვალევსა და შენი თიკნები აძოვე მწყემსების ქოხებთან.

ჩემო სატრფო, შენ შემიდარებიხარ ფარაოს ეტლის ჩემი მხრალელი ცხენისთვის.

გიშვენის ყვრიტისებური დაწყვები და ფარული ყელისა.

ჩვენ გაგიკეთოთ ოქროს ძეწკვი, ვერცხლის კილიტებ დასხმული.

როცა მეფე ტაბლას უჯდა, ჩემმა ნარდიონმა თავისი სურნელება გამოსცა.

ჩემი მიჯნური ჩემთან მურის მტახსივით არის. ღამე გაატაროს ჩემს ძუძუებში.

ჩემი მიჯნური ჩემთვის თითქოს კვიპრის მტევანი იყვეს ენგედის ვენახისა.

მშვენიერი ხარ, ჩემო სატრფო, მშვენიერი ხარ, მტრედისებური თვალები გაქვს.

მშვენიერი ხარ ჩემო მიჯნურო, რა სანდომიანი ხარ! საწოლად კიდევ მდელო გვაქვს.

ჩვენი სახლის სართულია ნაძვისა, ხოლო ფიცარი საროსი.

თავი II

ყვავილი ვარ სარონის და შროშანი ველისა.

თითქო შროშანი იყვეს ეკალთა შორის, ისეთია ჩემი სატრფო ქალთა შორის. თითქო ვაშლის ხე იყვეს ტყის ხეთა შორის, ისეთია ჩემი მიჯნური ვაჟთა შორის. მოვისურვილე მისი სახრდილობელი და დავჯექ იქვე. მისი ხილით სასა ჩავიმტკბარე.

შემიყვანა სალხინოში და მისი დროშა ჩემს თავს სიყვარულია.

გული გამიდეთ ღვინით; გამიკრილეთ ვაშლითა, რადგანაც სიყვარულს დაუძნედივარ.

თავისი მარცხენა ხელი მისასთუნლოს, ხოლო მარჯვენა მომხვიოს.

იერუსალიმელო ქალებო, გაფიცებთ ქურციკებს და მშვლებს ველურსა, არ გააღვიძოთ, არ გამოაღვიძოთ ჩემი სატრფო, ვიდრემდისაც ინებოს.

ხმა ისმის ჩემი მიჯნურისა. ეგერ მოდის მთა მთა ხტომით, ბორცვ ბორცვ შემტომითა.

ჩემი მიჯნური ჰგავსია ქურციკის, ან მშვლის ნუკრისა. ეგერ დამდგარა ჩვენს ყორეს უკან; სარკმელში იჭვრიტება, ღობე-ღობე მოდის.

ჩემმა მიჯნურმა მომიგო, რა მითხრა, ადექ, ჩემო სატრფო, ჩემო ლამაზო და მოდი.

ზამთარი გავიდა, წვიმამ გადაიღო, გადაიკარა.

ყვავილი გაჩნდა ქვეყნად, სხლვის დრო მოიწია და გვრიტის ხმა გაისმა ჩვენს სოფელში.

ლეღვმა გამოიღო თავისი ყვავილი, ვაზმა მტევნები და გამოსცეს სურნელება. ადექ, ჩემო სატრფო, ჩემო ლამაზო და მოდი.

ჩემო მტრედო, კლდის საფარდულში რომ ხარ, ყორესთან ახლო, შენს პირი მიჩვენე და შენი ხმა გამაგონე, ხმა ტკბილო და პირ-მშვენიერო.

დაგვიჭირე ჩვენ მელიები და მელის ლეკვები, ვენახს რომ აფუჭებენ, დაისხამს თუ არა მტევნებსა.

ჩემი მიჯნური ჩემია, მეც მისი ვარ, მისი, შროშანთა შორის რომ აძოვებს.

ვიდრემდის შერიჟრაჟდეს დღე და ბინდი გაიფანტოს, მოდი ჩემო მიჯნურო, როგორც ქურციკი, ანუ მშვლის ნუკრი ველიანი მთისა.

თავი III

ჩემს ლოგინში ღამით ვეძებდი ჩემი სულის საყვარელ ვაჟსა, ვეძებდი, მაგრამ ვერ ვპოვე.

მოდი ავდგე და მოვიარო ქალაქი, უბან უბან, ფოლოც ფოლოც და მოვძებნო ჩემი სულის საყვარელი ვაჟი. ვეძებე, მაგრამ ვერ ვპოვე.

ქალაქს რომ უვლიდა, იმ დარაჯმა მპოვა. ხომ არ გინახავს ჩემი სულის საყვარელი ვაჟი მეთქი, უთხარი.

ცოტა რომ დავშორდი, ვპოვე ჩემი სულის საყვარელი ვაჟი. დავუჭირე და აღარ გავუშვი, ვიდრე არ შევიყვანე დედი ჩემის სახლში, ჩემი მშობლის ოთახში.

იერუსალიმელო ქალებო, გაფიცებთ ქურციკებს და მშვლებს ველურსა არ გააღვიძოთ, არ გამოაღვიძოთ ჩემი სატრფო, ვიდრემდისაც ინებოს.

ვინ არის ის ქალი, რომელიც ამოდის უდაბნოთაგან, როგორც სვეტი რომ კვმლისა სახედ ფინიკისა მური გუნდრუკის და ყოველი სურნელებისაგან რო ჰქრის.

აი სარეცელი ხოლო მონისა და მის გარშემო სამოცი ძლიერი ძლიერთაგან ისრაელისა.

ყველა მეხრმლე და ბრძოლაში გაწაფული; ყველა ხმალით მქონებელი თეძოთა ღამის შიშის გამო.

სოლომონ მეფემ სარეცელი გააკეთებინა თავისთვის ლიბანის ძელისაგან.

სვეტები გაუკეთა ვერცხლისა, საწყ[illegible], დასაჯდომი ძოწეული ქსოვილ[illegible], ხოლო შიგნით მოურთვიათ იერუსალიმელ ქალებს სიყვარულითა.

მოდით [illegible] ქალებო და იხილეთ სოლომონ მეფე იმ გვირგვინითა, რომელიც დედამ დაადგა თავსა მისი სიძობის დღეს, მისი გულის შვების დღეს.

თავი IV

მშვენიერი ხარ, ჩემო სატრფო, მშვენიერი. თვალები მტრედებს მიგაგვს, როცა არ მდუმარ[illegible]. თმა კიდევ თხის ფარას, რომელიც გალაადის მთით დაშვებულა.

კბილები გ[illegible] ჩვეულ ცხვრის ფარას, რომელიც საბანელით ამოსულა. თვითეული მათ შორის წყვილ ბატკნიანია, უნაყოფო [illegible] ერთი.

ბაგენი შენი თითქოს ძოწეული საბელი იყვეს; მეტყველება გშვენის. თითქოს ვარ[illegible] ფურცელი იყვეს ღაწვები შენი, როცა არ მდუმარებ.

ყელი მიგაგვს დავითის ბურჯსა, რომელიც აგებით საჭურველისათვის,—ზედ ჰკიდია ათასი ფარი ყველა [illegible].

შენი ორი ძუძუ—თითქოს ორი თიკ[illegible]ნი იყვეს ქურციკისა, შროშანთა შორის რომ სძოვენ.

ვიდრემდის დღე შერიჟრაჟდეს და ბინდი გაიფანტოს, მოდი ავიდე მურის მთასა და გუნდრუკის ბორცვზე.

ყოვლად მშვენიერი ხარ, ჩემო სატრფო, და შენ კი რამ არ გეპოება.

მოდი ლიბანით, საცოლო, ლიბანით; გამოეშურე ამანის ქედით, სენირის და ერმონის ქედით, ლომის ბუნაგით და ვეფხვის მთითა.

გული მოგიხიბლავს ჩემთვის, ჩემო დაია, ჩემო საცოლო; გული მოგიხიბლავს ჩემთვის შენი თვალით და შენი ყელის ფარდულით.

რა მშვენიერი ძუძუები გაქვს, ჩემო დაია, ჩემო საცოლო. შენი ძუძუები რა ბევრად სჯობია ღვინოსა და შენი ფერ[illegible]ხარის სურნელება ყოველ სხვა სურნელებასა.

გოლი გწვეთს ბაგეთა, ჩემო საცოლო თაფლსა და რძეზე გიფარია ენა, ხოლო შენი სამოსლის სურნელება თითქოს იყვეს ლიბანის სურნელება.

ჩემო დაია, ჩემო საცოლო, შენა ხარ წალკოტი დახშული, ჯურღმული დაკეტილი, წყარო დაბეჭდილი.

შენი საბაღნარო წალკოტია ბროწეულის ხეხილისა, მწვანილ[illegible] ნაყოფიერი, კვიპრია ნარდიონით.

ნარდიონი და ზაფრანი, [illegible] ლერწმისა და კინამო [illegible] გუნდრუკის ხითა; მური [illegible] ლი თავი და თავი სურნელებისა.

წყარო წალკოტისა! [illegible] ცხოველი წყლისა და ლიბანისაგ[illegible] მდინარე [illegible]!

ადექ [illegible], და ამოდი, შუა დღის სიო [illegible] ჩემს წალკოტს [illegible] გამოსცეს სურნელება. [illegible] ვიდეს ჩემი მიჯნური თავის წალკოტში და [illegible] მისი ტკბილი ნაყოფი—

თავი V

შევედი ჩემს წალკოტში, ჩემო დაია, ჩემო საცოლო; დავკრიფე ჩემი მური ჩემი სურნელებითა; ვჭამე ჩემი ფიჭა ჩემი თაფლითა; შევსვი ჩემი ღვინო ჩემი რძითა. ჩემო მეგობრებო, შეჭამეთ, სვით და დაითვერენით, მოყვასნო.

მეძინა, მაგრამ ჩემს გულს ეღვიძა. ეგერ ხმა ჩემი მიჯნურისა, რომელიც მიკაკუნებს კარსა, გამიღე, ჩემო დაია,

გლისის, გერმანიის, საფრანგეთის, იტალიის და სხვა ქვეყნის ჯარები. რას აკეთებდნენ ისინი?! რისთვის მოვიდნენ? საქართველოს დამოუკიდებლობის დასაცავად, თუ არა? არა! ეს ჯარები არამც თუ საქართველოს დამოუკიდებლობას არ იცავენ, არამედ ერთს საუკეთესო სახელმწიფოს, რომელიც დღევანდელ ცხოვრებაში ყველაზე უფრო კულტურულია,—გერმანიას, მიწასთან ასწორებენ და ნუ თუ მათ უფლება აქვთ გვიახრან, რომ ჩვენ ჯარი შემოვიყვანეთ და ამ ჯარით თქვენ დაგიცავთო. არა, ისინი მოვიდნენ აქ, რომ დაეცვათ მემამულეების ძალაუფლება. გარეთ ისინი იცავდნენ როტშილდს, ნობელს, მანთაშევის და სხვებს, აქ კი იცავდნენ მენშევიკებს, რომლებმაც არა თუ საქართველოში, არამედ რუსეთშიაც და მთელ მსოფლიოშიც ულალატეს მუშათა კლასს და შეიქმნენ ბურჟუაზიის და იმპერიალისტების ლაქიები. ეს მენშევიკების პარტია, რომელიც უპრალო მსახურ და ლაქია იმპერიალიზმისა, გაიძახის: შემოიყვანეს რუსის ჯარი და საქართველოს დამოუკიდებლობა მოსპესო. მართალია ეს? დიახ, ჩვენ შემოვიყვანეთ წითელი ჯარი თეთრი ჯარის წინააღმდეგ, ჩვენ შემოვიყვანეთ რუსეთის მუშების და გლეხების შვილები, რუსეთის წითელი დროშის ქვეშ, წინააღმდეგ დასავლეთ ევროპის იმპერიალიზმისა. დიახ, ჩვენ შემოვიყვანეთ ჯარი, რომელიც დღეს თქვენ შემოგეგებათ აქ, და ნუ თუ ვინმე თქვენგანი, აქ მყოფნი გვეტყვის, რომ ეს რუსის ჯარი არ არის საჭირო, რომ დაცული იყვეს საქართველო იმ ომებისაგან, რომლებიც აქ სწარმოებდა განუწყვეტლივ სამი წლის განმავლობაში; ვინაიდან ამ სამი წლის განმავლობაში მენშევიკების დროს ომი იყო სომხეთთან; იყო ომი ოსებთან, იყო ომი აფხაზეთთან, იყო ომი აჭარლებთან, იყო ომი ოსმალეთთან, იყო ომი აზერბეიჯანთან; ომი და მუდამ ომი!

წითელი ჯარი ჩვენ შემოვიყვანეთ აქ საქართველოში და იგი ამ ერთი წლის განმავლობაში იცავს საქართველოს დამოუკიდებლობას, იცავს მის მშვიდობიანობას, ამ ერთი წლის განმავლობაში ერთი წვეთი სისხლი არ დაღვრილა არც ქართველი მუშისა და გლეხის, არც ოსის, არც აჭარლის და აფხაზის. აი, ჩვენ, ამხანაგებო, შეკრებილი ვართ აქ და ვერავინ ვერ გვეტყვის, რომ ამ დარბაზში არ არის მუშათა და გლეხთა და წითელ არმიელების წარმომადგენლები. ჩვენ ეს დემოკრატია გვწამს და მას ვემსახურებით. ჩვენ მასთან ვართ, ბრძვით და ამ ბრძოლაში მასთან ერთად ან გავიმარჯვებთ, ან დავიღუპებით. ის დემოკრატია კი, რომლის მეთაურები მენშევიკები იყვნენ, არ გვწამდა. მას მუდამ ვებრძოდით. და აი, ამხანაგებო, ამ აზრით და მიზნით შემოვედით ჩვენ საქართველოში. ბევრი იძახის—საქართველოს კომუნისტებმა საქართველო გაყიდესო, ბევრი იძახის, რომ საქართველოს კომუნისტები მოღალატეები არიან, მაგრამ არ ვიცი, ისინი არიან მოღალატეები, რომლებმაც გაძარცვეს საქართველო და წავიდნენ დასავლეთ ევროპაში და იქ ჰენდერსონის, ლლოიდ ჯორჯის, ბრიანის და სხვა ჯურის იმპერიალისტებთან ერთად უნდათ კვლავ შემოესიონ საქართველოს და გადააქციონ საქართველო ბრძოლის ასპარეზად, თუ ჩვენ, რომელნიც აქ თქვენთან ვართ და ვიქნებით მუდამ ერთად.

მაშ, ამხანაგებო, ნება მომეცით, გულით ვუსურვოთ მხურვალე ნაყოფიერი მუშაობა ჩვენ პირველ ყრილობას.

გაუმარჯოს საბჭოთა საერთაშორისო რევოლუციას.

გაუმარჯოს ჩვენ მტკიცე კავშირს, ჩვენ მეგობარ ძმურ სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკებთან.

გაუმარჯოს ჩვენ პირველ ყრილობას.

გაუმარჯოს ჩვენს კომუნისტურ პარტიას.

(ტაში—ორკესტრი ასრულებს ინტერნაციონალს).

რუსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის სახელით კრებას ესალმება ამხ. კიროვი.

ამხ. კიროვი. (მქუხარე ტაში), სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სახელით ნება მიბოძეთ მოგესალმოთ თქვენ, საქართველოს მიწა-წყლის ნამდვილ ბატონ-პატრონთ, (ტაში) ამხანაგებო, პირველი თქვენი ყრილობა შეიკრიბა ფრიად მნიშვნელოვან დროს. თქვენ იცით, რომ ამ ჟამად საბჭოთა ხელისუფლების მეთაურის რუსეთის თავზე მოწევდება ახალი საშიშროება. თქვენ იცით, რომ ანტანტის წარმომადგენლების პირით, რუსეთი მიწვეულია გენუას გოლგოთაზე. თქვენ იცით, რომ იქ დღე და ღამე სწარმოებს მუშაობა იმ მიმართულებით, რომ რაც შეიძლება მალე ჩააჭრონ მუშათა და გლეხთა რუსეთი და მასთან ერთად ყველა საბჭოთა რესპუბლიკები. მაგრამ, ამხანაგებო, ამბობენ, საშინარია ეშმაკი, მაგრამ მოწყალეა ღმერთიო. გამოირკვა, რომ დრო დანიშნული საბჭოთა რუსეთის დახრჩობისათვის გამოდგა ძლიერ პატარა და

> ჩვენ ვამტკიცებდით (ო), რომ იქნება სოციალიზმის ღალატი თუ ჩვენ უარვყოფთ სოციალიზმის დროს ერთა თვითგამორკვევის განხორციელებას.
>
> ლენინი.

ამ ჟამად კაპიტალიზმის ქურუმნი ლაპარაკობენ მასზე, რომ ეს გოლგოთა გადასწიონ უფრო შორს. თქვენ იცით, რომ თითქმის ოფიციალურად დადასტურებულია გენუის კონფერენციის გადადება, თქვენ იცით, ამხანაგებო, ისიც, რომ მუშათა და გლეხთა რუსეთის წარმომადგენლებს წინადადება მიეცემათ ამ კონფერენციაზე გადასწყვიტონ საკითხი ხალხის ეროვნული თვითგამორკვევის შესახებ.

თქვენ იცით, რომ ყვითელი სოციალისტების აზრით, ეს საკითხი ყველაზე უფრო მტკივნეული ადგილია მუშათა და გლეხთა ხელისუფლების პროგრამაში და დამტკიცებაში. ისინი ფიქრობენ, რომ ჩვენ ეროვნული თვითგამორკვევის საკითხს გადავწყვიტით უპრალო შეიარაღებული ძალით, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებით მეზობელ ქვეყნებში. ჩვენ დიდი სიამოვნებით ვეგებებით ამ გამოწვევას და ღრმა კმაყოფილებით დავსვამთ ეროვნულ თვითგამორკვევის საკითხს გოლგოთის პროგრამაში. ჩვენ ვიცით, რომ ქართველი მენშევიკები მიიღებენ ყველა ზომებს იმისთვის, რომ ჩვენ მოგვთხოვენ მივსცეთ ქართველ ხალხს საშუალება, რათა მათ თავის ხელისუფლების გამორკვევის საკითხში თავისუფლად გამოსთქვან თავისი ნებისყოფა. მაგრამ მე მგონია, რომ ტყუილია ამისათვის გენუას კონფერენციის ცდა; მე მგონია, რომ დღეს აქ გახსნილი პირველი საქართველოს საბჭოთა ყრილობა ყოველგვარ კონფერენციის გარეშე დაამტკიცებს, ვისზე ლოცულობს და ვის სწამს ქართველ მუშას და ქართველ გლეხს (ტაში). თუ ქართველი მენშევიკები გენუას კონფერენციაზე კიდევ და კიდევ იმეორებენ თავის აბირებულ აზრს „საქართველო ქართველებისათვის", მაშინ თქვენ კონფერენციაზე ხმა მაღლა უნდა სთქვათ: „დიახ, საქართველო,—საქართველოს მშრომელთათვის". მაგრამ ჩვენ მივიღებთ ყოველგვარ ზომებს, რომ საკითხი ხალხის თავისუფალი თვითგამორკვევისა დაისვას რაც შეიძლება ფართოთ. ჩვენ გავსწევთ საქართველოს ფარგლებს და წინადადებას მივსცემთ შეიმუშავონ ეს საკითხი მსოფლიო მასშტაბით. (ტაში) აქ ჩვენ შეგვძლებთ ვსთქვათ, რომ ის რაც იფიქრა ყვითელ ინტერნაციონალის წარმომადგენელმა ჰენდერსონმა, ის ამერიკა ჩვენ აღმოვაჩინეთ მაშინ ადრე დიადი ოქტომბრის რევოლუციის დღეებში და საკმაო მაღალი, მართალია, არა ყველა ევროპიელებისათვის გასაგები, რუსული ენით განვაცხადეთ, რომ ამიერიდან ყველას თავისუფლად შეუძლია აირჩიოს ისეთი მთავრობა, როგორიც მას სურს, მაგრამ სიტყვა „ხალხი" ჩვენ გვესმის ისე, როგორც მშრომელნი და ფეირით მძიმე და თუ ევროპის მესვეურნი მოინდომებენ დასვან ეს საკითხი უფრო რეალურ და საქმიან ნიადაგზე, ჩვენ ერთ წამსაც არ ვყოყმანობთ; ჩაგრულნი აღმოსავლეთის ვეებერთელა კოლონიებისა დიდის აღტაცებით ჩასჭიდებენ ხელს ამ მოწოდებას და მე არ ვიცი, როგორ იგრძნობს მაშინ თავს გენუას კონფერენციის შემადგენლობის უმრავლესობა. ყოველ შემთხვევაში თუ ისინი ინებებენ ამ საქმის დაბოლოებას, შეიძლება სრული რწმენით ვსთქვათ, რომ შინ დაბრუნებისას, გენუას კონფერენციის შემდეგ, მათ მინისტრების სავარძლებზე დახვდებათ სულ სხვები, ვიდრე ისხდნენ იქ მანამდის. ჩვენ კი მუშათა და გლეხთა ქვეყნების წარმომადგენლები ვიტყვით: ჩვენ მივდივართ ამ კონფერენციაზე იმ დიადი საშიშროების შეგნებით, რომელიც ჩვენ გველის, მაგრამ ჩვენ ამ მოგზაურობამდის უნდა უთხრათ მათ, ვისთვისაც გენუა გაცილებით უფრო ძვირფასია ვიდრე ჩვენ. მათ კიდევ ეთხოვთ აცხონონ თავის მთავრობას, რომ არა თუ მარტო ჩვენი დელეგატები არიან მზად გენუაში წასასვლელად, არამედ იქ წამსვლელთა ზურგში ჩვენ გვყავს ჩვენი ძვირფასი, უსაზღვროდ საყვარელი მუშათა და გლეხთა წითელი არმია (ტაში).

და თუ—ვიტყვით ჩვენ, თქვენ ვერ გამონახავთ, როგორც იძახიან, საერთო ენას ჩვენ დელეგატებთან, თუ თქვენ უარს იტყვით ყველასათვის მისაწვდომ მოხდენილ რუსულ ენის გაგებაზე, ჩვენ არაფერი არ გვექნება მის წინააღმდეგ, რომ ეს ჩვენი მრავალწლოვანი დავა გადავსწყვიტოთ სხვა გზით და ამისთვის ჩვენ მზათ ვართ ყოველ წამს და ყოველ წუთს. (ტაში) და ეს იქნება, ამხანაგებო, საუკეთესო დაბარება ჩვენი დელეგატებისადმი და პასუხი იმ წინადადებაზე, რომელიც უნდათ ჩვენ დაგვისვან.

ვათავებ რა ჩემს მისალმებას, ... დიდ უფრო გამძლავრებულ საბჭოთა საქართველოსადმი, მე უნდა ვსთქვა მხოლოდ ერთი: ამხანაგებო, ვიმეორებთ რა მუშათა, გლეხთა და წითელ არმიელთა სახელით ... ქართველის მიწა-წყალზე ... სოვდეთ, რომ ნამდვილი ... დამოუკიდებლობა შეიძლება შევინარჩუნოთ მხოლოდ მაშინ და იმ შემთხვევაში, როდესაც ჩვენ ყველანი დიდიდან პატარამდე, ჩრდილოეთიდან მეღლვარე სამხრეთამდე შევერთდებით ერთ განუყოფელ მუშათა და გლეხთა კავშირში და ამ კავშირით გამოვალთ იქაც, სადაც უნდათ ილაპარაკონ ადამიანური ენით, იმავე განუყოფელ კავშირით. თუ ეს საჭირო იქნება, გამოვალთ, იქ სადაც ჩვენ გვიხმობენ ახალ გოლგოთისათვის. და მანამდის ეს კავშირი იქნება საიმედო, მტკიცე, ჩვენ შეგვიძლიან სთქვათ: კიდევ ვნახოთ ვისთვის არის ამ ეგზოტიურ ნაპირებზე აღმართული ყველასათვის შესაძლი გოლგოთა.

ჩვენ შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ჩვენ ძლიერ დავიღალეთ, ჩვენ განაწამები ვართ, დიდხანს ვიბრძოდით, მაგრამ საბჭოთა ქვეყნების მუშების და გლეხებისათვის გამზადებულ გოლგოთაზე ჩვენ წასვლას არ ვაპირებთ.

მივმართავთ დასავლეთის კაპიტალიზმს, ჩვენ ვეტყვით მას, თუ თქვენ იქ რაიმე დაბოლოვებისაკენ, ჩვენ შეგვიძლია ხელი გკრათ თქვენ არა მარტო ამ მაღალ და დაწყევლილ მთებზე, არამედ ჩვენ შეგვიძლია ხელი შეგიწყოთ ძირს დამხობისათვის და ასე ამხანაგებო, გაუმარჯოს საბჭოთა რესპუბლიკების კავშირს, გაუმარჯოს იმ ახალ ბრძოლას, რომლის შედეგად გაიმარჯვებს მსოფლიო ცენტრალური დეპუტატების საბჭოები (ტაში. ინტერნაციონალი).

(შემდეგი იქნება)

—

# ამხ. მიხ. კაკულიას სიტყვა
## საქ. საბჭოთა ყრილობაზე

საქ. მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტიის ფრაქციის და მთავარ კომიტეტის სახელით მხურვალე სალამს ვუძღვნი საქართველოს სოციალისტურ რესპუბლიკის საბჭოთა პირველ წითელ ყრილობას.

ამხანაგებო! დღევანდელი ყრილობა, ეს ისტორიული მოვლენაა, ეს ისტორიული ყრილობაა ქართველი ერის, საქართველოს მშრომელი ხალხისა. მე მგონია, რომ ეს ყრილობა, როგორც გამომხატველი საბჭოთა სისტემის, მშრომელი ხალხის ძალა-უფლების და მშრომელთა ნების ყოფის, ისტორიული მოვლენა არის მთელი მშრომელი კაცობრიობისთვის. საქართველოს მემარცხენე სოც.-ფედ. პარტია ამ სისტემას, ამ ახალ მოვლენას, მშრომელთა ბატონობას საქართველოში, მთელი თავისი არსებით, მთელი თავისი ძალ-ღონით მხარს უჭერს. რატომ?—იმიტომ, რომ მშრომელთა ბატონობაში—მხოლოდ საბჭოთა სისტემაში, ჩვენი პარტია ხედავს იმ იდეალთა და ზრახვათა განხორციელებას, რომელიც მას ეწერა და დღესაც უწერია თავის სამოქმედო პროგრამაში. ეს გახლავსთ საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის განმტკიცება. ამხანაგებო, სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა. როდესაც ჩვენ ვამბობთ, რომ ჩვენ ვართ დაინტერესებული ერის დამოუკიდებლობის განმტკიცებაში, ეს სიტყვა, ეს ზრახვა არ კმარა. საჭიროა მოქმედება, მოქმედება თავდადებული, რევოლიუციონური, სოციალისტური. საქართველოს მემარცხენე სოც.-ფედ. პარტია სწორედ ამ დამოუკიდებლობის გამტკიცებაში ხედავს თავის დანიშნულებას. ეს დამოუკიდებლობა საქართველოს მემ. სოც.-ფედ. პარტიას ესმის, როგორც ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვარი, რომელსაც უნდა მაგრად ხელის ჩაჭიდება, რომელსაც უნდა სათუთად შენახვა და თუ მოინდომეს ამ მონაპოვარის წართმევა თუ დაუდგა ამ მშრომელთა რესპუბლიკის დამოუკიდებლობას განსაცდელი და საფრთხე—მაშინ საჭიროა მას თა-

---

ჩემო სატრფო, ჩემო მტრედო, ჩემო სპეტაკო, რათგანაც თავი ამევსო ცვრითა და თმა ღამის წვეთითა.

კვართი გამიხდია, როგორ ჩავიცვა ხელ ახლა, ფეხთ გამიბნია, როგორ გავისვარო?

ჩემმა მიჯნურმა ხელი გამოჰყო ჭუჭრუტანაში და გულმუცელი შემძრა მისგამო.

წამოვდექ კარი გამეღო მიჯნურისათვის, ჩემ ხელთ სწვეთდა მური, ჩემ თითთა მური საკეტის ტარზე.

ხმ გაუღე კარი ჩემს მიჯნურს, მაგრამ ჩემმა მიჯნურმა უკან დაიხია და წავიდა. სული წამივიდა, მომესმა თუ არა მისი ლაპარაკი; ვეძებდი და ვერ ვპოვე, ვეძახდი და არ გამომეხმაურა.

ქალაქს, რომ უვლიდა, იმ დარაჯმა მპოვა. მცემეს, დამჭრეს; ზღუდეთა მცველებმა საცმელი გამხადეს.

იერუსალიმელო ქალებო, გაფიცებთ. თუ შეხვდეთ ჩემს მიჯნურს, უთხარით, სიყვარულს დავუძლურივარ—თქო.

რითი სჯობია შენი მიჯნური სხვას, უმშვენიერესო ქალო? რითი სჯობია შენი მიჯნური სხვას, ეგრე რომ გვეფიცები?

ჩემი მიჯნური თეთრი მოწითალოა-მეღროშე ათის ათასისა.

მისი თავი წმინდა ოქროა, თმა ხუჭუჭი, ყორანივით შავი.

თვალები მისი მტრედებია, მდინარე წყალზე რომ არის, რძეში განბანილი და ჩასხმული ბუდეთა.

ლაწვები მისი სავარდეა სურნელოვანი, ფიალა სურნელებისა; ბაგენი შროშანივით წმინდა მურ მწვეთარე.

ხელები მისი თითქოს ოქროს ბეჭდები იყვეს, სადაც უსხედს თარში; მუცელი—საფირონ დასხმული კრიალა სპილოს ძვლისა.

წვივები მისი მარმარილოს სვეტებია ოქროს ხარისხზე დამყარებული. თვალადია, როგორც ლიბანი, დიადია, როგორც ნაძვი;

ხორცი მისია სიტკბოება, ხოლო თვითონ იგი ყოვლადფრად სანდომიანობა. ასეთია ჩემი მიჯნური, ასეთია ჩემი მეგობარი, იერუსალიმელო ქალებო!

თავი VI

სად წავიდა შენი მიჯნური, ქალთაშორის უმშვენიერესო? საითკენ წავიდა შენი მიჯნური? მოდი მოვსძებნოთ შენთან ერთად.

ჩემი მიჯნური თავის კორდში ჩავიდა, სურნელოვან ყვავილნარში, რომ აძოვოს მდელოზე და დაკრიფოს შროშანი.

მე ვარ ჩემი მიჯნურისა, ჩემი მიჯნური კიდევ ჩემია, ის, შროშანში რომ აძოვებს.

ჩემო სატრფო, ლამაზი ხარ თირწასავით, საამური იერუსალიმივით, ამაყი დროშა ამართული რაზმივით.

მომარიდე შენი თვალები, რომ არ მაცქერონ, რათგანაც მოვიხიბლე; თმა შენი თითქოს ფარა იყვეს თხისა, გალაადის მთით დაშვებული.

კბილები შენი თითქოს ფარა იყვეს ცხვრისა, საბანელით ამოსული, თვითეული მათ შორის წყვილ ბატკნიანია, უნაყოფო არც ერთი.

ლაწვები შენი თითქოს ვარდის ფურცელი იყვეს, როცა არ მდუმარებ.

სამოცია დედოფალი, ოთხმოცი ხასა და ურიცხვი ქალი. ჩემი მტრედი, ჩემი სპეტაკი ერთად ერთია; დედის ერთაა სათუთია დედისა, რომელსაც უშვია. ქალებმა ნახვისათანავე სთქვეს, ბედნიერიაო, დედოფლებს და ხასებს უქიათ:

ვინ არის, რომ ცისკარსა ჰგავსო, ბადრია, როგორც მთვარე, ნათელი, როგორც მზე, ამაყი—დროშა ამართული რაზმივით.

ჩავედი თხილნარში, მენახა მდელო ქალისა, მენახა, ვაზი თუ შეიკვირტა, ბროწეული თუ აყვავდა.

ვეღარ შევნიშნე თუ, ჩემმა გულისთქმამ რომ დამაგდო ამინადაბის ეტლსა.

მოდი, მოდი, სულამითელო, მოდი, მოდი, გიხილოთ. რა იხილოთ სულამითელსი მისი. რა მოდის? თითქოს ორ წყებათ ფერხული იყვეს.

თავი VII

სახელოვანო ქალო, რა გიხდება გოგმანი სანდლებითა! შენი თეძოების მოყვანილობა თითქოს ფარდული რამ იყვეს, მარჯვე მუშაკის ხელით ნაკეთები.

ჭიპი შენი, თითქოს გამოჩნილი ფიალა იყვეს, სავსე პირთამდე სურნელოვანი ღვინითა, მუცელი შენი—ზვავი ხორბლისა, შროშან გარშემორტყმული.

ორი ძუძუ შენი—ორი თიკანი ქურციკისა.

ყელი შენი—პილოს ძვლის ბურჯი, თვალები შენი—ესებონის ტბა, ბათრაბიმის ბჭის კართან რომ არის; ცხვირი შენი—სვეტი ლიბანისა, დამასკოსაკენ გამცქერალი.

თავი შენი—მთა კარმელისა და თმა შენი თავისა პორფირივითაა. მეფე შეპყრობილია შენს კულულებსა.

რა მშვენიერი ხარ, რა სანდომიანი, ჩემო, ჩემო საყვარელო, ჩემო სანეტარებელო.

ტანი მიგიგავს ფინიკსა, ხოლო ძუძუნი მტევნებსა.

ვსთქვი, გავიდე მეთქი ფინიკზე და მოვიხილო მისი რტოები, ძუძუები შენი იყვეს ჩემთვის ვაზის მტევნებივით, ხოლო ცხვირი შენი საყნოსველად ვაშლივით.

სასა შენი—საუკეთესო ღვინო, რომელიც მდინარებს ჩემი მიჯნურისაკენ და ამეტყველებს მძინარეთა ბაგესა.

მე ვარ ჩემი მიჯნურისა, მისი გულის წადილი მიწრაფვის ჩემკენ.

მოდი, ჩემო მიჯნურო, გავიდეთ მინდვრად, დავდგეთ სოფლად.

დილით ავდგეთ, ვენახში წავიდეთ, ვნახოთ, ვაზი თუ შეიკვირტა, მტევანი თუ გამოიღო და ბროწეული თუ აყვავდა. იქ მოგცე ჩემი ძუძუები.

მანდრაგორამ გამოსცა სურნელება და ჩვენ კარ წინ ყოველ გვარი ხილია რჩეული, ახალი, თუ ძველი, რომელიც შენთვის შენახული მაქვს, ჩემო მიჯნურო.

თავი VIII

ნეტა იყვე ჩემი ძმობილი, რომელსაც უწოვია ძუძუ დედიჩემისა; შეგხვდები თუ არა ქუჩაში, გაკოცებ, არც არავინ დამძრახავს.

წაგიყვან, შეგიყვან დედა ჩემის სახლში. მასწავლი და გასმევ ღვინოსა, სურნელებით და ვაშლის წყლით შეზავებულსა.

მარცხენა ხელი მისასთუნლოს, ხოლო მარჯვენა მომხვიოს.

გაფიცებთ, იერუსალიმელო ქალებო, არ გააღვიძოთ, არ გამოაღვიძოთ ჩემი სატრფო, ვიდრემდისაც ინებოს.

ვინ არის ქალი იგი, რომელიც ამოდის უდაბნოთაგან, რა დაეყრდნობია ტკბილად თავის მიჯნურსა? მე გამოგაღვიძე ერთი ვაშლის ხის ქვეშ იქ, სადაც დედაშენმა გშვა, იქ, სადაც გშვა შენმა მშობელმა.

დაიდე ჩემი თავი ბეჭედივით შენს გულზე, ბეჭედივით შენს მკლავზე. სიყვარული ძლიერია სიკვდილივით, ხოლო დაზო ფიცხია ჯოჯოხეთივით, მისი ისარი ცეცხლის ისარია, იგია ალი ფრიად ძლიერი.

დიდი წყალი ვერ ჩააქრობს სიყვარულსა, ვერც ხევი წალეკს. კაცმა რომ გაიღოს სიყვარულისათვის ყოველი ქონება თავისი სახლისა, შეურაცხყოფით შეურაცხყოფილ იქმნეს.

ჩვენა გვყავს პატარა და, ჯერ კიდევ ძუძუებ დაუსხმელი, რა უნდა ვუყოთ ჩვენს დას, როცა გასათხოვარი გახდეს?

თუ იგი ზღუდე იქმნეს, ზედ ავაგოთ ვერცხლის პალატი, ხოლო თუ კარი, გავფიცროთ ნაძვითა.

მე ვარ როგორც ერთი რამ ზღუდე, ხოლო ძუძუები ბურჯებივითაა მაქვს. ამიტომ მის თვალში გამომგდარ ვიქმენ სისრულეში.

სოლომონს ჰქონდა ვენახი ბაალ-ამონს და მისცა მცველებსა. თვითეულ მათგანს ჰმართებდა მისი ათასი ვერცხლი მისი ნაყოფისთვის.

ჩემი ვენახი კი მე მახლავს, სოლომონ! ათასი ვერცხლი შენ გქონდეს, ორასიც მისი ნაყოფის მცველთათვის.

შენ, მკვიდრო წალკოტისაო, მეგობრები ყურს უგდებენ შენს ხმასა; მეც გამაგონე ერთი.

მიჯნურო ჩემო, იელტოდე; სურნელოვან მთათა ქურციკს, ანუ მშვლის ნუკრს მიემსგავსე.

შენიშვნა: ამ თარგმანის ტექსტის გასამთავედ ვიხელმძღვანელე:

1. დაბადება (ბიბლია) არჩილ—ბაქარისა, ტფილისი 1884.

2. La Sainte Bible, Version d'Ostervald. Paris 1894.

3. Библия, С.-Петербург 1907.

პეტრე მარანაშვილი.

ვიც შევწიროთ, ამხანაგებო, საფრთხე როგორც გამოირკვა ერთი აქ მოლაპარაკე ორატორის სიტყვიდან, მოსალოდნელია. თავის თავად ცხადია, ყოველ მნიშვნელოვან საქმეს, მით უმეტეს მშრომელთა ბატონობის განმტკიცებას, ერის თავისუფლების და დამოუკიდებლობის განმტკიცებას ყოველთვის მოელის საფრთხე, მას ჰყავს აურაცხელი მტრები, როგორც შიგნით, ისე გარედ მაგრამ ასეთი მტრები, საქართველოს შემ. სოც.-ფედ. პარტიის ძალ-ღონით და რიცხვით სუსტსაა... ამინებს. იქ სადაც შეიქნება საჭირო ბრძოლის ფრონტზე გამოჩნდება სოციალისტურ რევოლუციის მებაირახტრე საქართველოს წითელი ლაშქარი თავისი ლამაზი მწკრივებით, შემ. სოც.-ფედ. პარტია იქ მიიღებს მონაწილეობას და შეიტანს თავის წვლილს. ამხანაგებო, დღეს ჩვენი ყრილობა გაითვალისწინებს რა ყოველ იმას, რაც აქ იყო თქმული, მიაქცევს სათანადო ყურადღებას, გამოიმუშავებს მშრომელთა ბატონობის განსამტკიცებლად, ხაზს, და ამ ხაზის გამომუშავებაში, ჩვენი ფრაქცია მიიღებს მონაწილეობას, ჩვენი პარტია იმუშავებს იქ ყოველ ფრონტზე შინაურზე თუ გარეშეზე როგორც, ბრძოლის ფრონტზე, ისე აღმშენებლობის ფრონტზე, ერთი სიტყვით ყველგან სადაც საჭირო იქნება მთელის გულით, მთელის ზრახვებით. ამავე დროს პარტია ითვალისწინებს იმ მძიმე მდგომარეობას, რომელშიაც ის ჩაყენებულია ერთის მხრით, ყოფილი ამხანაგებისაგან-მემარჯვენე ფედერალისტებისაგან, ხოლო მეორეს მხრით-მენშევიკების მიერ შექმნილ მდგომარეობით. ასეთ უხერხულ მდგომარეობაში იმყოფება პარტია, მას უხდება ბრძოლა მძიმე პირობებში, მაგრამ მას არ ეშინიან. ყოველგან არსებობს პროვოკაცია მიმართული მშრომელი ხალხის ინტერესების წინააღმდეგ, პროვოკაცია იმავე დროს მიმართულია შემ. სოც.-ფედ. პარტიის წინააღმდეგ. მაგრამ პარტია ამას არ უფრთხის. სადაც საჭიროა ის საქმითა და ბრძოლით დაამტკიცებს თავის უნარს და არას იტყვის. ყოფილი მემარჯვენე ამხანაგებისა და მენშევიკებისაგან სიტყვების გარდა ნამდვილი საქმე არ ჩვენახავს. ეს რომ ასე არ ყოფილიყო მე ვამბობ, რომ ისინი აქ, ჩვენთან იქნებოდნენ. მოვიდოდნენ ჩვენთან ერთად ერის წარმომადგენლად, ხალხის, ერის ინტერესების გამომხატველად, მის ნებისყოფის, მის სურვილების გამომხატველად. წინააღმდეგ ამისა ისინი გაექცნენ ხალხს, მოაღვნენ დოლგ-ყურეს ევროპაში, ებრძვიან ხალხს ზოგი სტამბოლიდან, ზოგი პარიზიდან და ამას ეძახიან ხალხის სამსახურს. ასეთი ხალხის სამსახურს ჩვენ ვგმობთ და ვკიცხავთ. (ტაში).

ამხანაგებო დღევანდელმა ჩვენმა ყრილობამ, რომელიც არის უზენაესი ბატონ-პატრონი საქართველოსი, მშრომელი ხალხისა, გამომხატველი საქართველოს მშრომელი ხალხის ინტერესებისა, უნდა გასცეს პასუხი ცხოვრების მიერ მრავალ მხრივ შემუშავებულ რთულ კითხვებზე. მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა რევოლუციონური პარტია სრულიად დარწმუნებულია იმაში, რომ ჩვენ სწორეთ სავსებით და დაკვირვებით ამოვწურავთ ცხოვრების და მშრომელი ხალხის მიერ წამოყენებულ ყველა კითხვებს და მით გასცემთ სათანადო პასუხს, და ამის განსახორციელებლად ავირჩევთ აღმასრულებელ კომიტეტს, რომლის სათანადო შემადგენლობა გაუძღვება ჩვენს ცხოვრებას. გისურვებთ, აგერჩიოთ ისეთი კომიტეტი, რომელიც პირნათლად გაუძღვება ხალხის და რევოლუციის ინტერესებს და ამ საქმეს დაგვიგვირგვინებს ბოლომდე. გისურვებთ ნაყოფიერ მუშაობას. გაუმარჯოს თქვენს საქმეს, გაუმარჯოს მშრომელთა ბატონობას. გაუმარჯოს დამოუკიდებელ საბჭოთა საქართველოს რესპუბლიკას თავისუფალ ერთა კავშირში, გაუმარჯოს მსოფლიო სოციალისტურ რევოლუციას, გაუმარჯოს სოციალიზმს (ტაში).

# ქალაქს გარეთ

ხშირად ვარკვევთ სხვა და სხვა კითხვებს, რომელიც უმთავრესად შეეხება ქალაქის ცხოვრებას. ხშირად მარტო ქალაქის თვალსაზრისით ვზომავთ მთელ საქართველოს და ტფილისი საქართველოს მინიატურა გვგონია. შეშფოთებულია ტფილისი? ვფიქრობთ, რომ შფოთავს მთელი საქართველო. ილხენს ტფილისი? დარწმუნებული ვართ, რომ ზეიმია მთელ საქართველოშიაც.

არსებითად საქმის მდგომარეობა სხვა გვარია. თუ ჩვენ ხშირათ აღვნიშნავთ იმ უარყოფით ნაბიჯებს, რომელსაც ტფილისის კედლები იტევს, ეს იმიტომ ხდება, რომ უმთავრესად ტფილისის გარეთ რა ხდება, იმის დეტალური ცნობები ჩვენ ხელთ არა გვაქვს.

პროვინციის ცხოვრება ყოველთვის მოწყვეტილი იყო ქალაქის ცხოვრებას ჩვენში. ეს ადვილი ასახსნელია ჩვენი ქვეყნის კულტურულ-ეკონომიური ვითარებით, მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს არ გადავლახოთ პარტიკულიარიზმის ზღუდენი და ჩვენი სიტყვა და საქმე არ შევიტანოთ ყველგან, საქართველოს ყოველ კუთხეში.

უმთავრესი მიზეზი პროვინციის ცხოვრების ანორმალობისა ადმინისტრატიულ ფუნქციათა აღრევაა. ჩვენს ორგანოში ამ დღეებში დაისტამბა ერთი კორესპონდენცია ჭიათურის რაიონიდან, რომელიც აღნიშნავდა, რომ კომიჩეიკა სამოსამართლო კამერასა ჰგავს, იგი ჩეკის მოვალეობასაც ასრულებს და რევკომს წინადადების სახით მიმართავს, საქმის ასე თუ ისე ასრულებისათვის. დაატუსაღეს პიროვნება. გამოუძიებლად დაამწყვდიეს 5 დღე და შემდეგ განაცხადეს „გაგვექცა და მოვკალითო“.

აი პატარა ცნობა, რომელიც ბევრის მეტყველია თავისთავად. ძველი სენი მენშევიკური ადმინისტრაციისა, რომელიც გამოიხატებოდა „გაგვექცა და მოვკალით“ ფორმულაში, ჯერ კიდევ სავსებით ვერ განდევნილა ჩვენი ცხოვრებიდან.

ამასთანავე კომიჩეიკის კომპეტენციის გაფართოვება პროვინციებში დიდ არევ-დარევას იწვევს, საჭიროა ამ გარემოებას სერიოზული ყურადღება მიაქციოს კომუნისტურმა პარტიამ.

მთელი უბედურება კიდევ ის არის, რომ პროვინციებში ადმინისტრაციისა და თუ გნებავთ კომიაჩეიკის შემადგენლობა არ სდგას თავის სიმაღლეზე და ხშირად ამ ნიადაგზე დიდ კურიოზებს აქვს ადგილი.

არ კმარა ქალაქით გაზომვა ყოველივეს. თუ ტფილისში რუსულიენის გაბატონება სჭარბობს, ქალაქს გარეთ მომზადებულ მუშაკთა კადრი სუსტია და ხელს უშლიან თავიანთი მოქმედებით სახელმწიფოებრივი ცხოვრების ნორმალურ განვითარებას.

ამიტომ საჭიროა, ყურადღება და მეტი რადიკალური ზომების მიღება.

როგორც ქალაქს გარეთ, ისე ქალაქშიაც უნდა შეიქმნეს საიმედო მუშაკთა კადრი და განიწმიდოს ჩვენი ცხოვრება იმ ელემენტებიდან, რომელნიც ან შეგნებულად ხელს უშლიან მშრომელთა კეთილდღეობას, ან და შეუგნებლად აბრკოლებენ საქმის წინ მსვლელობას.

ს.

# უნივერსიტეტი და ხელისუფლება

დღეს როდესაც ადარ მოისმის: „ყველაფერი ფრონტისათვის“, საჭიროა მეტი აღმშენებლობითი მუშაობა, ფიქრი მომავალზე და ამ მომავლის მუშაკების, სტუდენტობის მომზადებაა აუცილებელი. ვინც იცის კომუნისტების აზრი სწავლა განათლების შესახებ და ამასთანავე იცნობს უნივერსიტეტის ეხლანდელ მდგომარეობას, მოიგონებს შოთას სიტყვებს: „სიტყვა სხვაა საქმე სხვაა, შუა უზის დიდი ზღვარი“. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთებმა ბოროტად გამოიყენეს მეცნიერების ტაძარი, გადააქციეს ის პოლიტიკური ბრძოლის არენათ, მმართველ პარტიას მართებდა მეტი სიდინჯე და თავდაჭერილობა. ხელისუფლების შეხედულება სტუდენტობის შესახებ ნათელია, მხოლოდ მინდა ვიცოდე რას ფიქრობს უნივერსიტეტზე საერთოდ, რა ბედი მოელის მას, იქ ფაქტიურად მაცხოვრობა ადარ არის. აუდიტორიები დრო გამოშვებით განათებულია პატარა ლამპებით (თუნუქის ლამპები და ოთხკუთხედი შუშები არ მგონია იმაზე ყელბი და დაბალი ღირსების იყოს ტფილისში, რომლებიც ელექტრონის მაგიერობას სწევენ). სტუდენტს გამოანგარიშებული აქვს რამდენი ხალხური უნდა აიაროს კიბისა, რომ ამა თუ იმ აუდიტორიაში მოხვდეს და კისერი არ მოიტეხოს სიბნელის გამო. პროფესორებს უხდებათ ხშირად ლექციის შეწყვეტა და ხშირათ სულ ვერ იწყებენ ლექციების კითხვას უკინათლობის გამო და თუ კითხულობენ, სტუდენტებს არ აქვთ საშვალება ჩაიწერონ. კითხვა ასე სდგას:—ხელისუფლება არ აქცევს ამ მოვლენას ყურადღებას თუ ვერ შესძლო მისი გამოსწორება, თუ კი მსხვილ ვაჭარს და ისეთ წვრილფეხასაც, რომელსაც ხუთმეტიოდე გირვანქა მოხალული თხილი, საპონი და რამდენიმე ასახთი გამოუწყვია, აქვს საშვალება ელექტრონით გაჩირაღდნებულ „შუდკაში“ ფაცქნას ხალხი, რატომ ამ ელექტრონის გამოყვანა არ მოხერხდა უნივერსიტეტისათვის?

სად არის სტუდენტებისათვის შეღავათიანი პირობები: ბინა, ტრამვაი, აბანო, სტიპენდიები და სხვა?

ასეთ პირობებში არავითარი იმედი არ არის სწავლის შეძენის.

აქ ხელისუფლებამ გარკვეული სიტყვა უნდა სთქვას.

ხ. პეიშვილი.

# ახალი ამბები

— კომუნალურ განყოფილებაში. ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტის კომუნალური განყოფილების საადმინისტრო ქვეგანყოფილებას ესაჭიროება ქვემდებარეობის მოსაწყობად ახალი ქვაფენილისა და ძველი ქვაფენილების შესაკეთებლად.

პირობების გაგება შეიძლება კომუნალურ განყოფილების № 41 ოთახში დილის 12 საათიდან 3 საათამდის.

— მიწის ნორმა. მიწ. მოქ. სახ. კომისარიატთან შესდგა სპეციალისტების კომისია, რომელსაც ევალება მიწის ნორმის გამომუშავება.

— ბრძოლა ეპიდემიასთან. ჯანმრთელობის სახ. კომისარიატმა გახსნა დიდუბეში სადეზინფექციო პუნქტი 250 კაცის მიმღები. პუნქტი უზრუნველყოფილია ყოველგვარ საჭირო ნივთებით, გარდა ტახტების და ქვეშაგებების, რომლებიც მზად იქნება ორი კვირის განმავლობაში.

— საქართველოს დამშეულთა დასახმარებლად საქ. დამშეულთა მთავარი კომიტეტი. საქართველოს დამშეულთა დამხმარე კომიტეტი მოთავსებული დროებით მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატის შენობაში და ღებულობს ყოველგვარ დახმარებას და შემოწირულებას საქართველოს დამშეულთა სასარგებლოდ.

— სამღვდელოება დამშეულთა სახსარგებლოდ სამღვდელოება საქართველოს დამშეულთა სასარგებლოდ მოუწყობს 11, 12 და 13 მარტს.

— მეწყერი რაჭაში და ლეჩხუმში. საქართველოს დამშეულთა დამხმარე მთავარ კომიტეტს ატყობინებენ, რომ რაჭაში მეწყერმა დაანგრია სოფელი დვიარა, ჯერ-ჯერობით განადგურებულია ორმოცი კომლი.

ცაგერში მეწყერმა გაანადგურა სახნავ-სათესი მიწები და სავენახეები. რამოდენიმე ათეული მოსახლე სრულიად უსახლ-კაროდ დარჩა, რამაც დამშეული ხალხის მდგომარეობა უფრო გაამწვავა.

— სამხრეთ ოსეთში. სამხრეთ ოსეთიდან იტყობინებიან, რომ სიმშილი დღითი დღე იზრდება; მცხოვრებლები ჰყიდიან რაც გააჩნიათ. თუ სასწრაფოდ არ იქნა აღმოჩენილი დახმარება სურსათ-სანოვაგით და ტანისამოსით, მცხოვრებლებს ამოწყვეტა მოელით.

— სხვა ადგილებიდან ცნობები. ამგვარივე ცნობებს იტყობინებიან ქუთაისის მაზრის მანდიკორის თემიდან, ლეჩხუმის მაზრიდან, რაჭიდან, ზემო-გურიიდან და აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთი კუთხეებიდან.

— სავალუტო ბირჟა. თებ. 20 სავალუტო ბირჟაზე უცხო ვალიუტის კურსი გამოიხატება შემდეგში: (ათ. მან.)

| | |
|---|---|
| სტერლინგი | 900 |
| დოლარი | 235 |
| გერმანული მარკა | 1,2 |
| თათრული ქაღ. ლირა | 185 |

— ს. ს. ს. რესპუბლიკის სახელმწიფო ქაღალდების დამამზადებელი ექსპედიცია შეუდგა ახალი სათამაშო ბანქოს გამოცემის თავდარიგს, რომლის მთელი შემოსავალი გადაეცემა საქართველოში დამშეულთა დამხმარე კომიტეტს.

# პარტიაში

დღეს, საღ. 6 საათზე გაზეთ „ტრიბუნის“ რედაქციაში დანიშნულია ახალ. ღრ. კავშირის სხდომა.

ახალ. კავშირის პრეზიდიუმი.

# რუსეთი

ორენბურგი. 25 თებ. 13 ათას მშიერიდან გარდაიცვალა 3 ათასი. ბავშვებს შორის სიკვდილი აღწევს 95 პროცენტს.

კრასნოდარი. 22 თებ. ნოვოროსიაში მოვიდა ამერიკის გემი 7 ათასი ტონი მარცვლით დატვირთული, დამშეულთა სასარგებლოდ.

ხარკოვი. 23 თებ. პუგაჩევის მაზრა მცხოვრებლებისგან თითქმის დაცარიელდა. დარჩენილები სიმშილობენ. საჭიროა მეტი დახმარება.

მოსკოვი. 25 თებ. სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა 1 მარტიდან რკინის გზის ბილეთებზე და ბარგის გადატანაზე დააწესოს ტარიფი ოქროთ არსებულ მანეთებში.

# უცხოეთი

ბორდო თებ. 27-ს, ფიქრობენ, რომ ინგლის-საფრანგეთის შეთანხმების პირობა ხელმოწერილი იქნება ლონდონში, გენუის კონფერენციის გახსნამდე. ინგლის-საფრანგეთის პრესა გამოსთქვამს სრულ კმაყოფილებას იმის გამო, რომ მთავრობათა შორის მიღწეულია სრული შეთანხმება, რასაც ექნება დიდი პოლიტიკო-ეკონომიური მნიშვნელობა ევროპისათვის.

პარიზი. თებ. 27-ს, უწესრიგობათა შემდეგ, პირველად შესდგა პარლამენტის სხდომა, რომელმაც ნდობა გამოუცხადა მთავრობას.

რომი. თებერვლის 27-ს, რატენაუ ამ დღეებში მიემგზავრება რომში. მისი წასვლას აქვს პოლიტიკური ხასიათი.

რომი. თებერვლის 27-ს, კონსტანტინოპოლიდან მარსელში გაემგზავრა ქემალისტების დელეგაცია, ევროპის სახელმწიფოებთან მოსალაპარაკებლად.

რომი. თებერვლის 27-ს, სერბიის მეფეზე თავდამსხმელს მიესაჯა სიკვდილით დასჯა.

პარიზი. თებერვლის 27-ს, ლოიდ ჯორჯი პუანკარესთან თათბირის შემდეგ, გაემგზავრა ლონდონში, პუანკარე —პარიზში.

მოსკოვი. თებერვლის 26-ს ლონდონიდან იტყობინებიან: ლოიდ ჯორჯმა განაცხადა თემთა პალატაში, რომ საათმერეთის პრობლემა არავითარ შემთხვევაში არ იქნება განხილული გენუის კონფერენციაზე.

# ბიბლიოგრაფია

## რევოლუციის პოეტები

გ. ლეონიძის და ტ. ტაბიძის რედაქტორობით.

სახელმწიფო გამომცემლობა. 1921. ნოემბერი. ტფილისი.

ჩვენ თამამად შეგვიძლია ვსთქვათ, რომ აქ არის მხოლოდ სათაური, შინაარსი ამ მეტად საინტერესო თემას ვერ ამართლებს. რევოლუციის გასაგებად საჭირო იქნებოდა პოეზიის ცნიერ სარკეში დაგვენახა მისი აღგზნებული და სისხლიანი სახე. ჩვენ მეტად დაგვაინტერესებდა პოეზია ახალი ქვეყნისა, იმ ქვეყნისა, რომელმაც ძირიანად მოისურვა შეეცვალა არსებული სოციალური ურთიერთობანი, ვიდრე პოეზია იარაღის ჟღარუნისა თუგინდ რევოლუციისა.

რევოლუციის პათოსი არ არის რაინდული სითავხედე ბრძოლისა. „რევოლუცია ომს უცხადებს უკანასკნელ ყოველგვარ ომს და, მის მიერ წარმოებული ომი, არის ომი საბრძოლველ იარაღის სამუშაო იარაღის გარდაქმნისათვის“ ასე ესმის რევოლუციას თავის დანიშნულება.. მართლაც ერთი უშესანიშნავესი ამერიკელი მწერალი უიტმანი, რომელიც მომავალ დემოკრატიის მოციქულად არის აღიარებული და, რომლის პოეზია ჭეშმარიტად რევოლუციონურია როგორც თავის ფორმის, ისე შინაარსის მხრივ, ერთ სიტყვასაც არ ამბობს ბრძოლაზე და ომზე.

აშკარაა, რომ ზოგიერთ ლექსს ... ...რულ ჟურნალსაც დაამშვენებდა, შეიძლება ეს უფრო საფუძვლიანიც იქნებოდა. ესევე ითქმის ზოგიერთ ლექსებზე, გაუგებრობით აქ რომ მოხვედრილან.

თქვენ ეხებით რევოლუციის პათოსს; მის სიარსეს, მის არსებას, მაგრამ ვერას ხედავთ. და სათაური გრჩებათ მხოლოდ და რამოდენიმე ლექსი, თავისთავად მისადები, კარგი.

რევოლუცია თვით პოეზიაში ხშირად ხდება ხოლმე. ეს ცალკე წერილისთვის საკმაოდ საინტერესო თემაა. მხოლოდ აქ ვიტყვი, რომ ეს ორი მომენტი, ცხოვრების და ლიტერატურის რევოლუციები შეიძლება ერთმანეთს მეგობრებათ არ შეხვდნენ.

ვ. გაფრინდაშვილის ლექსი კარგია და ჩვენ გვესმის „ალტაცება ერთგული“, მაგრამ მისი პოეზია თავის იდეოლოგიით სრულებით ვერ დაახასიათებს რევოლუციას.

ფორმის სისასტიკე, რითმა უეცარი და მოულოდნელი და მთლად ლექსის აქსესუარები ძველი დროინდელი, არისტოკრატიული ტრადიციაა, ინტელიგენტურ წრეში გათავისებულებული. ტიციან ტაბიძე გრძნობს ამ შეუსაბამობას და თავის შესავალში მოხერხებულად ამტკიცებს, რომ ყველა პოეტი ბრძოლის მხარეზე იყოო.

სიტყვა ბრძოლა და რევოლუცია იგივეობა არ არის. და აქ უფრო მეტ მასალას იძლევა პოეტების ბიოგრაფია და მათი სულის დაუდევარი ხასიათი ცხოვრებაში, ვიდრე მათი რევოლუციონერობა პოეზიაში.

წიგნში მოხსენებულია მაიაკოვსკი, რომლის პოეზია მთლად რევოლუციას შეეწირაო, მაგრამ საუბედუროდ აქ ჩვენ ვერც ერთ ნიმუშს ვერ ვხვდებით. შემდგენლები თავიდანვე იხდიან ბოდიშს და ჩვენც არას ვიტყვით.

რევოლუციის სიარსე, მისი ათვისება ამ წიგნით შეუძლებელია და ეს არის საერთოდ ნაკლი პოეზიისა, რისი მიზეზიც თვით ამ სოციალურ მოვლენის ხასიათში იმალება. რევოლუცია, როგორც პროცესი, რომელიც სასტიკი აუცილებლობით იფეთქებს ხოლმე, ატარებს რაღაც სტიქიურს, როგორც ყოველი კატასტროფა და მისი მიუდგომელი ჰვრეტა, მისი პოეტური დაფასება ძნელი ხდება—ის რაც ხდება ფეერიული მოულოდნელობით, ჩვენ ვერ დაგვიფასებია. აქ საჭიროა გენიალური ინტუიცია მიუდგომელ გონებასთან შეზავებული.., ალბათ შეუძლებელ შესათავსებლად რევოლუცია მოელის თავის პოეზიას და პოეტებს. მაშინ შეიძლება ჩვენი რევოლუციის პოეტები სულ სხვა ბაღში მოხვდნენ.

ჩვენ აქ არ შეუდგებით ლექსების დაფასებას. ძველზე ლაპარაკი მოსაწყენი იქნებოდა და ახლებზე გაჩუმება სჯობს...

მხოლოდ ამ წიგნის გამოსვლა თავისთავად უნდა ჩაითვალოს მეტად დადებით მოვლენად, რადგან ჩვენ საინტერესო სარკე წამოგვიყენეს მის რედაქტორებმა, ტიციან ტაბიძემ და გიორგი ლეონიძემ. საქართველოში რევოლუციის ქარცეცხლი გაიჭედა. თავისუფლების დ დამოუკიდებლობის იდეა და მის დასამარება რევოლუციის სახელით არ მოხდება. რევოლუცია უსათუოდ უნდა იქნეს ქართულ პოეზიაში ლამაზი გვირგვინი ისე, როგორც პირველ მეამბოხეს, ამირანს, ტანჯვის გვირგვინით ამკობს ქართული ლეგენდა.

შოთა კუპრაძე.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი— მთავარი კომიტეტი.